პროექტი №11

საქართველოს კურორტებისა და ტურიზმის ქალაქთმშენებლობითი ქ ალაქთმშენებლობითი განვითარების პრინციპები (სამეცნიერო-საპროექტო სამუშაოების მეთოდოლოგია).

პროექტის ხელმძღვანელი - გ. ბერიძე

დაფინანსება - 8100 ლარი

პროექტის მოკლე ანოტაცია

წარმოდგენილი პროექტი ეხება საქართველოს საკურორტო-რეკრიაციული და ტურისტული რაიონების არქიტექტურულ-დაგეგმარებით ორგანიზაციის სამეცნიერო-საპროექტო სამუშაოების მეთოდოლოგიას. დაბეჭდილია წიგნი.

შესავალში აღნიშნულია თემის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები.

გამოვლენილია კურორტებისა და ტურიზმის განვითარების წინაპირობები (მასობრივი დასვენება, საკურორტო მკურნალობა და ტურიზმი. როგორც მოსახლეობის ცხოველქმედობის აუცილებელი პირობები; საკურორტო მშენებლობის პრაქტიკა საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში; საკურორტო წარმონაქმნების კლასიფიკაცია და ტიპოლოგია, ქალაქთმშენებლობითი ტერმინების და ცნებების განმარტება).

მეორე ნაწილი ეძღვნება საკურორტო რაიონების ფორმირებას საქართველოში (ბუნებრივი პირობების გავლენა, ტერიტორიის არჩევისა და განთავსების მოთხოვნები, საკურორტო მშენებლობის რეგიონული თავისებურებები).

ჩამოყალიბებულია საკურორტო და ტურისტული რაიონების ქალაქთმშენებლობითი განვითარების საერთო პრინციპები (რაიონების საზღვრების დადგენის მეთოდოლოგია, ფუნქციური ზონირება, არქიტექტურულ-დაგეგმარებითი საფუძვლები, დაგეგმარებითი სტრუქტურების სხვადასხვა სისტემები).

დასასრულს ჩამოყალიბებულია სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგები, სამუშაო ილუსტრირებულია 44 სურათით. პროექტის შედეგად შექმნილი წიგნის საერთო მოცულობა-213 გვერდია.